23 ნოემბერს გიორგობაა — გილოცავთ!

გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(108) 2015 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

რეგიონში უძლიერესი ფიზიკოსი

გვერდი 3

ოქროსფერი შემოდგომა

სპორტი

გვერდი 6

უდაბნოს ალმაშენებელი

გვერდი 4

მუდრეგი ანუ თიმბის იოგა

გვერდი 5-6

ხელოვნების სამსახურში

გვერდი 5

ვისი გორისა ვართ?!

გვარეჯი

გვერდი 4

გამოიწერეთ გაზეთი „გარეჯის მაცნე“

ხელმოწერა

1 წლით – 12 ლარი

6 თვით – 6 ლარი

1 თვით – 1 ლარი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 ნოემბერი, 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ დღის წესრიგის საკითხები გააცნო.

სხდომაზე დღის წესრიგის I საკითხზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის I პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-15 მუხლის საფუძველზე, საგარეჯოს საარჩევნო ადმინისტრაციის №11 საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №262 წერილის და 2015 წლის 31 ოქტომბრის №11 საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი №0001-ის შესაბამისად საკრებულომ ცნობად მიიღო ზაზა ჩიხლაძის საგარეჯოს მუნიციპალტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესახებ

დღის წესრიგის მეორე და მესამე საკითხებზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 33-ე მუხლის I ნაწილის მოქმედების ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის №37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მადლენა სამუნაშვილმა.

ასევე, მოისმინეს საკითხი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

სხდომის მონაწილეებმა ასევე მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული, ადმინისტრაციული, ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის, შიდა აუდიტის, ზედამხედველობის, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შესაბამისი სამსახურების უფროსების მიერ.

ასევე, მოსმენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაწეული მუშაობა ამავე კომისიის თავმჯდომარის ჭაბუკა ჭანტურიას მიერ.

სხდომაზე მოსმენილი საკითხების ირგვლივ თავისი მოსაზრებები და წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა: გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, ზურაბ ქურთიშვილმა, ნიკოლოზ ვაჭრიშვილმა, ნიკო გიუაშვილმა, ელდარ მეფარიძემ და სხვებმა.

დეპუტატებმა გამგეობის სამსახურების უფროსების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

სხდომას ესწრებოდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

მოწესრიგდება ყველა ქუჩა და ყველა უბანი

17 ნოემბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია სოფელში არსებულ მდგომარეობაზე. როგორც გაირკვა, სასმელი წყლის მილის დაზიანების გამო სასმელი წყალი არ მიეწოდება სოფელ უდაბნოს მოსახლეობას. ამასთან, სოფელს არ მიეწოდება ელექტროენერგია. ასევე, ელექტროენერგია არ მიეწოდება სოფელ სათაფლეს (კრასნაგორსკი) მოსახლეობას ორივე სოფელში ძლიერი ქარების გამო დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები.

თათბირზე დაისვა საკითხი წყაროსთავში არსებული ხევის გასუფთავებისთვის.

თათბირზე დღის წესრიგში იყო სოფლების – გიორგიწმინდის, სათაფლის, უდაბნოს ქუჩების, უბნების მოხრეშვის საკითხიც. განხილულ იქნა თითოეულ სოფელში ქუჩების, უბნების მოხრეშვისთვის არსებული შესაძლებლობანი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბალასტო კარიერების მდგომარეობა.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს აქ დაყენებულ საკითხებზე და გადაწყდა, სანამ სოფელ უდაბნოს მოსახლეობას წყალსადენი მილებიდან არ მიეწოდება წყალი, მათი სასმელი წყლით მომარაგება ავტოცისტერნებით განახორციელონ. ამასთან, ყურადღება მიექცევა ელექტროენერგიის უმოკლეს ვადებში მიწოდების სამუშაოებს.

24 ნოემბერი, 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს უძღვებოდა ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი**. მან დაწვრილებით გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული მდგომარეობა. გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ უდაბნოში ჯამბულ მარგველანმა გააკეთა ზეპირი ინფორმაცია სოფლის დღევანდელ პრობლემებზე. როგორც გაირკვა, სოფელ უდაბნოს უკვე მიეწოდება ელექტროენერგია. რაც შეეხება სასმელ წყალს, მოსახლეობას იგი ავტოცისტერნებით მიეწოდება.

კოჭბანის გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწის თამთა გიგაურის ინფორმაციით სოფელ კოჭბანის და კოჭბანის თემში შემავალ სოფლებს ქარიან ამინდში არ მიეწოდება ელექტროენერგია – ელექტროგადამცემი ხაზების ძველი, ძირმომპალი საყრდენი ბოძები ხშირად იმტვრევა, წყდება ელექტროგადამცემი ხაზები და მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე რჩება რამდენიმე დღე. მოსახლეობას უწევს ქარისაგან დამტვრეული და ამორტიზებული ბოძების საკუთარი ძალებით შეცვლა. როგორც ელექტროსერვისის ხელმძღვანელობა ჰპირდებათ, სოფლების გამრიცხველიანების შემდეგ ისინი შეძლებენ საყრდენების გამოცვლას, მანამდე კი მდგომარეობა გამოუსწორებელი რჩება. მანვე გააკეთა ინფორმაცია სოფელ კოჭბანში არსებული გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენებული ყოფილი კლუბის შენობის ამორტიზაციის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, შენობა იმდენად ავარიულია, რომ ადვილი შესაძლებელია მისი ჭერის, კედლების ჩამონგრევა, რასაც შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს თავშეყრის ადგილზე მყოფი პირებიდან.

მზისგულში გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწის ლეილა ბარბაქაძის ინფორმაციით სოფელში დაზიანებულია სასმელი წყლის მილი.

სოფელ ბადიაურში გამგებლის წარმომადგენლის ნანა ტაველიშვილის მიერ გაკეთებული ზეპირი ინფორმაციით – სოფელ ბადიაურის მოსახლეობას მიეწოდება სასმელი წყალი ე.წ. „სოკარის წყლის“ მაგისტრალიდან. როგორც მან აღნიშნა, სოფელი მარაგდება სასმელი წყლის ორი ხაზით – ზემო ყანდაურიდან და ე.წ. „სოკარის წყალით“. ზემო ყანდაურაში არსებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა ამ ორი კვირის წინ ამოიწმინდა, გასუფთავდა შიგ ჩაზრდილი ხის ფესვებისაგან, დაიქლორა და ეს ხაზი ბადიაურში მცხოვრებ 100 ოჯახს ემსახურება. ხოლო მეორე ხაზი, ე.წ. „სოკარის წყალი“ – 350 ოჯახს. ეს უკანასკნელი ხშირად ზიანდება იმის გამო, რომ ვერ უძლებს დილით ქსელში გაშვებული წყლის წნევას და დაზიანებები მრავლობითია და ხშირიც. ამიტომაც იყო, რომ მოსახლეობას თითმის 3 კვირა წყალი ვერ მიეწოდებოდა. ახლა კი, მილის შეკეთების შემდეგ წყალი კვლავ მიეწოდება მოსახლეობას. ხდება ისეც, რომ ეს წყალი სოფლის 450-ივე კომლს ერთდროულადაც მიეწოდება. დღის წესრიგში დგება სასმელი წყლის აღნიშნული მაგისტრალის მაღალი გამავლობის წყლის მილებით ჩანაცვლება, რომელიც გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. დამთავრდა სოფელ ბადიაურის მოსახლეობის გამრიცხველიანებაც.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ნიკო ჯავახიშვილის მიერ თათბირზე გაკეთდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოების შესახებ. როგორც გაირკვა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ხვნა-თესვა, როგორც ვარაუდობენ, აქ 8 ათას ჰექტარზე იქნება დათესილი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, მაგრამ ფერმერ-მიწათმოქმედთა წინაშე დგება პრობლემა, კერძოდ, ნალექიანი ამინდების გამო საგაზაფხულო ნათესებიდან მოსავლის დაგვიანებით აღებამ გამოიწვია მღრღნელის – თაგვის მომრავლება ნათეს ადგილებში. ეს კი საშიშროებას უქმნის მარცვლეული კულტურების თესლის მიწაში შენარჩუნებას. აღნიშნული პრობლემაა კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. დღეს მიმდინარეობს მუშაობა მღრღნელების წინააღმდეგ გასატარებელი სამუშაოებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.

თათბირი შეაჯამა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა და დასახა სამომავლო გეგმებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გიორგი ქურდოვანიძე და გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი. მათ უპასუხეს თათბირზე დასმულ შეკითხვებს.

დიდგა ფაქმოანრი

დაიწყო თბობის სეზონი
როგორია სამზადისი?!

ჩვენს ქვეყანაში 15 ნოემბრიდან თბობის სეზონი ოფიციალურად დგება. თუმცა უკანასკნელ წლებში ბუნებაში მოხდარმა რიგმა კატაკლიზმებმა თითქოს „არაოფიციალურად“ წელიწადის ორი დრო შემოგვატოვა ხელში – ზამთარი და ზაფხული – მკვეთრად გამოხატული ჩვენთვის უჩვეულო ტემპერატურებით. ასეა თუ ისე, ზამთარი კარს მოგვადგა. ხვალ პირველი დეკემბერია. საინტერესოა, როგორ ხვდებიან ზამთარს ჩვენი მუნიციპალიტეტის ე.წ. საბიუჯეტო დაწესებულებები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ინდმეწარმე **მირიან მღებრიშვილს**. როგორც მან გვითხრა:

– მოგეხსენებათ ოქტომბრის თვე უხვი ნალექით დაიწყო და თითქმის მთელი თვე ასე გაგრძელდა. სწორედ ამის გამო ისე დაზიანდა ტყეში შემავალი და გამომავალი სამანქანო გზები, რომ კარგა ხანი დასჭირდა ნიადაგის გამოშრობას. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, მაინც მოვახერხეთ და შეშა შევიტანეთ თითქმის ყველა საბავშვო ბაღში. ორ დღეში შეშას შევიტანთ აზერბაიჯანული სექტორის ალტერნატიულ ორივე საბავშვო ბაღში (საუბარი ჩაწერილია 25 ნოემბერს). სულ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ხელშეკრულების თანახმად უნდა შევიტანოთ 170 მ3 მოცულობის შეშა. შედარებით დიდი ოდენობითაა შეშა განსაზღვრული იმ საბავშვო ბაღებისათვის, სადაც გაზიფიცირება არ არის. ასე, მაგალითად: უდაბნო, შიბლიანი, გომბორი, უჯარმა, აზერბაიჯანული სექტორი და სხვა. 3,5,7 მ3 მოცულობის შეშა შეტანილია ასევე გაზიფიცირებულ საბავშვო ბაღებშიც, იმ შემთხვევაში მოხმარებისათვის, თუ ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყდება.

ასევე, 108 მ3 მოცულობის შეშაა გადანაწილებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების შენობათა გასათბობად, რომლის შეტანა დავიწყეთ და უახლოეს დღეებში დავამთავრებთ.

განათლება და მეცნიერება

რაც სკოლებში ფიზიკის სწავლების ხარისხს აამაღლებს

გიორგობის თვის დასაწყისში საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში ერთი მეტად საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. იორმუდანლოს საჯარო სკოლის დირექტორმა, რეგიონში ერთ-ერთმა უძლიერესმა ფიზიკის სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა და ტრენერმა, ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოს მთარგმნელმა **კაზახ აბდულაევმა** საგარეჯოს საჯარო სკოლების ხელმძღვანელებისა და ფიზიკის მასწავლებლებისათვის ჩაატარა ტრენინგი ბირთვული ფიზიკის დარგში დაგროვილი თანამედროვე გამოცდილების, პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვიუწყებოდით, მანამდე კაზახ აბდულაევი საქართველოში ფიზიკის საჯარო სკოლების სხვა 14 მასწავლებელთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზაციით 10-დან 17 ოქტომბრის ჩათვლით, ერთკვირიან სტაჟირებაზე იმყოფებოდა შვეიცარიაში, ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN-ში). აქ მათ თანამედროვე ფიზიკის საკითხებზე ლექციებს უტარებდნენ „CERN“-ში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ფიზიკოსები, დაათვალიერეს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ჩაატარეს სხვადასხვა სახის სასწავლო ექსპერიმენტები. სწორედ „ცერნ“-ში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების პრეზენტაცია გახლდათ ტრენინგის ძირითადი მიზანი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ ჩვენ საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით ბ-ნ კაზახას ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამართული ვიზიტის შესახებ.

– ბ-ნო კაზახ, ვიდრე შვეიცარიაში თქვენს მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწყობილი ღონისძიებების შესახებ საუბარს დავიწყებდეთ, ალბათ საინტერესო იქნება მკითხველს მოვუთხროთ, თუ რას წარმოადგენს ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი, როდის, საიდან გაჩნდა მისი დაფუძნების იდეა და რა სახის კვლევები ტარდება იქ?

– დიდი სიამოვნებით. შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ „CERN“-ის შესახებ დასმულ ამ შეკითხვებზე. „ცერნ“-ში დღესდღეობით ხორციელდება მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული და მასშტაბური პროექტი ე.წ. „დიდი ადრონული კოლაიდერი“. თანამედროვე ფიზიკის, ასტროფიზიკის და კოსმოლოგიის მხრიდან დაგროვილია უამრავი კითხვა, რომლებიც შესწავლასა და გადაჭრას საჭიროებს, მათ შორის: რა ხდება სამყაროს სიღრმეში? რას წარმოადგენს შავი ხვრელები? რატომ ვერ ვხედავთ ფარულ მატერიას, რომელიც არსებული სამყაროს თითქმის 95%-ს შეადგენს? საიდან აქვთ სხეულებს მასა და საერთოდ, როგორ შეიქმნა სამყარო, როგორ განვითარდა ჩვენს დრომდე და როგორი დასასრული ექნება მას და ა.შ.

სწორედ ამ და ფიზიკის სხვა საინტერესო საკითხების გადასაჭრელად „ცერნ“-ში მიწისქვეშ, 100 მეტრის სიღრმეში და 27კმ-ის სიგრძის წრეზე შეიქმნა ამაჩქარებელი და დეტექტორების კომპლექსი, რომლის განხორციელებაში ჩაბმულია მსოფლიოს 80-მდე ქვეყნის როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური რესურსები და გამოყენებულია ულტრათანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა კვლევის შედეგების საყოველთაო გამოყენება შემდგომში შესაძლებელია საინჟინრო, სამედიცინო, საინფორმაციო და სხვა დარგების ტექნოლოგიების დახვეწაში.

ბირთვული კვლევების აღნიშნული ორგანიზაცია დაარსდა 1954 წელს, ჟენევის მახლობლად, შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვარზე. მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ II მსოფლიო ომის შემდგომ ბირთვული ტექნოლოგიები აღმოჩნდა ორი ზესახელმწიფოს – აშშ-სა და სსრკ-ს ხელში, რომლებიც ამას ძირითადად სამხედრო მიზნებისათვის იყენებდნენ. ევროპა რომ ამას არ ჩამორჩენოდა, გადაწყდა, იქაც ჩამოყალიბებულიყო ბირთვული კვლევების ისეთი ინსტიტუტი და ისეთი კვლევები განეხორციელებინა, რომელთა ჩატარებასაც თავიანთი ძალებით ვერ შეძლებდა ვერც ერთი სხვა ინსტიტუტი და ვერც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფო. თავდაპირველად აღნიშნული ცენტრის შექმნის იდეით გაერთიანებული ყოფილა 12 ევროპული სახელმწიფო, ამჟამად კი წარმოადგენს 22 ქვეყნის საკუთრებას, ხოლო მეთვალყურის სტატუსით სარგებლობენ აშშ, რუსეთი, იაპონია, ისრაელი, თურქეთი, ინდოეთი, იუნესკო, ევროკომისია. ექსპერიმენტში მონაწილეობენ 80 ქვეყანა. ცენტრში დასაქმებული 7000 თანამშრომლიდან 3000 ფიზიკოსია.



– ნამდვილად გასაკვირი და მისასალმებელია, რომ ასეთი გლობალური და ზოგადსაკაცობრიო საკითხებით დაკავებულ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამებსაც ეთმობა ყურადღება. რით არის მნიშვნელოვანი „ცერნ“-ის ბირთვული კვლევების ცენტრში თქვენთვის და სხვა ქართველი მასწავლებლებისათვის სტაჟირების გავლა? რაში დაგეხმარებათ ეს ფიზიკის მასწავლებლებს?

– ჩვენთვის, ფიზიკის მასწავლებლებისათვის მსგავსი სახის ღონისძიებები მნიშვნელოვანია იმით, რომ პედაგოგები და ჩვენი მეშვეობით მოსწავლე – ახალგაზრდობა დავუახლოვდით თანამედროვე კვლევებსა და მის შედეგებს, საბოლოოდ კი ეს ვიზიტი მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო მეცნიერების, კერძოდ ფიზიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და შემდგომ პოპულარიზაციას, ასევე, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, რათა გაუჩნდეთ ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართ.

– სტაჟირების ფარგლებში, რა ღონისძიებები და აქტივობები განხორციელდა „ცერნ“-ში თქვენი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით?

– სტაჟირების პერიოდში „ცერნ“-ში მყოფ ქართველ პედაგოგებს გვიტარდებოდა ლექციები როგორც აქ მოღვაწე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ, ასევე ჩვენთვის სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული ქართველი პროფესორ-მასწავლებლების მიერ. დაგვათვალიერებინეს სამეცნიერო ლაბორატორიები, ვესწრებოდით სხვადასხვა ექსპერიმენტებს. „ცერნ“-ის გარდა ლექციები გვიტარდებოდა სხვა დიდ სამეცნიერო ცენტრებშიც მიმდინარე თანამედროვე კვლევებზე, სამეცნიერო მიღწევებზე და მათ დანიშნულებაზე, ასევე ფიზიკის როლზე თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში (სამედიცინო, კოსმოსის ათვისება, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტექნიკის განვითარების, სამყაროს წარმოშობის, ჩამოყალიბების და სხვათა შესახებ).. ასევე, ჩვენ თვითონვე ვატარებთ მათთვის საინტერესო სასკოლო ექსპერიმენტებს და ა.შ. ასევე შესაძლებლობა გვქონდა არაფორმალურად შევხვედროდით საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ და სხვა ქვეყნის მეცნიერ ფიზიკოსებს. მაგალითად, აქ შევხვდით და გავეცანით ნობელის პრემიის ლაურეატს ჯეკ შტეინბერგერს, რომელიც უკვე 94 წელს ითვლის და შევძელი ამ შეხვედრის ფოტოზე დაფიქსირება. ასევე აქ გავიცანით „ცერნ“-ში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსები: ირაკლი მინაშვილი, ლექსო მესტვირიშვილი, გივი სეხნიაიძე, და სხვები, რომლებმაც ჩაგვიტარეს ბევრი საინტერესო ლექცია. შთამბეჭდავი და დაუვიწყარი იყო ბერნის კოლეჯის ქართველი პედაგოგის ირმა მგელაძის ლექცია „ფიზიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები სკოლაში“ და სხვა. რა თქმა უნდა, დაგვათვალიერებინეს ევროპის ამ ულამაზესი ქვეყნის დირსშესანიშნაობებიც.

– როგორც ცნობილი ხდება წელს „ცერნ“-ში ფიზიკის პედაგოგების სტაჟირებისათვის საკმაო ფინანსური რესურსი გაიხარჯა. თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია და რა სარგებლობას მოუტანს ეს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების საქმეს?

– თუ პირადად ჩემს მაგალითზე ვიმსჯელებთ, ეს ხარჯი აბსოლუტურად გამართლებულად მიმაჩნია და სრულიად შეესაბამება იმ სარგებელს, რაც შეიძლება ამ მასწავლებლებმა მისცენ საკუთარ მოსწავლეებს ფიზიკის სწავლების საკითხში. ჩემი ეს ტრენინგიც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ამ მისიის განხორციელების გზაზე, ხოლო პირადად მე, თუ როგორ შევძლებ „ცერნ“-ში მიღებული გამოცდილების მოსწავლეებისათვის გადაცემას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ქართული ენის დასაუფლებლად

სკოლა, რომელიც საჯარო მოხელეებს კვალიფიკაციას აამაღლებს

უკვე წლებია ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრი, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის ქართული სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები ხორციელდება. წელს ცენტრმა მსმენელთა რიგით მეხუთე 19 კაციანი ნაკრები გამოუშვა, რომლებსაც 5 ნოემბერს კურსის დამთავრების დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს.

სერტიფიკატების გადაცემის შემდეგ სკოლის წარმომადგენლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ცენტრში გადაინაცვლეს, სადაც შეხვდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის, ასევე სხვა საჯარო მოხელეებს. შეხვედრაზე ქვემო ქართლის რეგიონული სასწავლო ცენტრების კოორდინატორმა მერაბ გოგონაძემ და რეგიონული სასწავლო ცენტრებისა და სასწავლო პროცესის მართვის საბჭოს კოორდინატორმა ლადო გვაზავამ საჯარო მოხელეებს წარუდგინეს სკოლის პროგრამების შესახებ მომზადებული პრეზენტაცია, ესაუბრნენ საჯარო მოხელეთა გადამზადების კუთხით არსებული საჭიროებებისა და საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების აუცილებლობაზე.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში საჯარო მოხელეთა სწავლება ხორციელდება შემდეგ პროგრამებზე: საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება, სახელმწიფო ენის სწავლება, კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზო პროგრამა, რომელთა სწავლება 9 ნოემბრიდან განახლდა. აღნიშნული სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა განთავსებულია ქ. ქუთაისში, სადაც საჯარო მოხელეთა სწავლების მთლიან ხარჯებს სახელმწიფო აფინანსებს.

გ. დაბახიშვილი

მივიწყების ფერფლში

უდაბნოს აღმშენებელი კაცი-ლეგენდა

გიგო ჯიღაური და მისი მეუღლე

არიან ადამიანები, თავიანთ კაცურ მოვალეობას რომ ასრულებენ უხმაუროდ და უპრეტენზიოდ, ისე, უბრალოდ, მამულიშვილურად და ერთი წუთითაც არ ფიქრობენ საკუთარ თავზე, არც იმაზე, მათ ამაგზე მომავალში ვინმე ისაუბრებს თუ არა. ან რა საჭიროა რეკლამირება?! დე, მათ მოიხსენიონ ისე, როგორც თვითონ დაინახავენ საჭიროდ, მან ხომ თავისი ადამიანური ვალი მოიხადა?

სწორედ ასეთი უბრალო კაცი იყო პატარძეულის მკვიდრი, უბრალო გლეხის შვილი – გიგო ჯიღაური. მამამისმა, უბრალო, მრავალჭირნახულმა ზაქარიამ სწორედ ნამდვილ მამულიშვილად გაზარდა თავისი პირმშო – გიგო. ასწავლა შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, გამბედაობა, ვაჟკაცობა.

პატარა გიგო ბავშვობის ადრეული წლებიდანვე მამას დაჰყვებოდა გარე სამუშაოებზე და თავისი თანასოფლელი გლეხებისგანაც ადვილად ითვისებდა შრომის წესებს და ყოველდღიურ ყოფასთან გამკლავებას.

ვინც მის საქმიანობას ახლოს იცნობდა, ყველას განათლებით ინჟინერი ეგონა, მაგრამ მას მხოლოდ პატარძეულის ორწლიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მიუხედავად ამისა, უფროსი თაობის საგარეჯოელებს ახლაც ახსოვთ მისი ამაგი, საგარეჯოს რაიონის სოფლებში სასმელი წყლების წყალსადენებით გამოყვანის დიდი საქმის შესახებ. მიუხედავად ჟამთა სვლისა, მის მიერ გაკეთებული წყალსადენები დღემდე შეუფერხებლად ფუნქციონირებენ. შორს რომ არ წავიდეთ, საგარეჯოს წყალსადენი – გამოყვანილი 1915 წელს, დღესაც შეუფერხებლად ემსახურება საგარეჯოელებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ის იყო ახალი ცხოვრების კვალს ახლად ატარებდა და დავით-გარეჯის ისტორიული მონასტრების გვერდით გიგანტური მეცხვარეობის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის ახალი სოფლის მშენებლობას გეგმავდა, რათა მრავალსაუკუნოვანი დაუსახლებელი მხარე ახალი საქართველოს სამსახურში ჩაეყენებინათ ეძებდნენ ისეთ მშენებელ ენთუზიასტს, რომელიც მგლებითა და აფთრებით სავსე მხარეს სიცოცხლეს დაუბრუნებდა.

ასეთი ენთუზიასტი კაცის ძებნას ჩვენს რაიონში დიდი დრო არ დასჭირდა, ვინაიდან ასეთი კაცი უკვე არსებობდა სოფელ პატარძეულში – გიგო ჯიღაურის სახით, რომელსაც შეეძლო მოკლე დროში ხორცი შეესხა ქართველი პატრიოტების და მშრომელების მიზანდასახულობათა აღსასრულებლად.

დრო არ ითმენდა, დროზე უნდა აეშენებინათ საუკუნოვანი ტრამალები და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ.

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიულად ძირძველი ქართული მიწა, იქ არსებული მსოფლიო მნიშვნელობის კლდეებში ნაკვეთი ისტორიული ქალაქ-მონასტერი, რომელიც 30 კმ რადიუს სივრცეზე იყო გადაჭიმული, ლენინის ბრძანებით ქართველი ხალხის დაუკითხავად და ს. ორჯონიკიძის თანხმობით 1918 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცა და ქართული მონასტრები აზერბაიჯანელი მწყემსების საკუთრებად იქნა გამოცხადებული.

1924 წელს ლენინის გარდაცვალებისთანავე ქართველმა პატრიოტმა მეცნიერებმა თავისი ენერგიული ბრძოლით მიაღწიეს იმას, რომ საქართველომ არალეგიტიმურად წართმეული მიწის ნაწილი მაინც დაიბრუნა და ამიერკავკასიის კავბიუროს უფროსი ს. ორჯონიკიძე დაითანხმეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ცხენოსანი არმიის უხეში საკვები ბაზის და საძოვრების საჭიროებისათვის გარეჯის მინდორ "ტაირის" ტერიტორიაზე სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინათ თივის დამზადების პუნქტი, რათა შემდგომში ეს პუნქტი მეცხვარეობისა და მსხვილფეხა პირუტყვის ბაზად გამოეყენებინათ. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა წარმოშობით თუში უნიჭიერესი ზოოტექნიკოსი კოსტალე აბაშიძე. ამავე პერიოდში დაიწყო კულაკებისათვის ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის ჩამორთმევა და გარეჯის ტერიტორიაზე 75 ათასმა ცხვარმა და დიდძალმა მსხვილფეხა პირუტყვმა მოიყარა თავი, რისთვისაც სასწრაფოდ გახდა საჭირო ბინების და ფარეხების აშენება.

მაშინდელმა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დაადგინა – გარეჯის ტერიტორიაზე მინდორ "ტაირის" ფართობებზე თივის დამზადების ბაზა გადაკეთებულიყო მეცხვარეობის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობად კოსტალე აბაშიძის ხელმძღვანელობით. 1926 წელს გადაწყდა სასწრაფოდ დაწყებულიყო სოფლის მშენებლობა, სადაც ჩასახლდებოდნენ უდაბნოს მეცხვარეობა-მეცხოველეობის მეურნეობის თანამშრომლები. ამ მუშათა დაბის მშენებლობის ორგანიზატორად დაამტკიცეს მშენებლობაში დიდი გამოცდილების მქონე პატარძეულელი თვითნასწავლი მშენებელი ინჟინერი გიგო ზაქარიას ძე ჯიღაური.

გაიჭრა ყამირი და ჩაეყარა ბალავარი დიდ მშენებლობას.

"ტაირი" – ასე ერქვა გარეჯის მინდორს, სადაც პირველი მშენებლები მოვიდნენ. "ტაირი" ერქვა საუკუნოვან ქარდაკრულ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში სისხლით გაჟღენთილ მიწას, სადაც შეუიარაღებელი კაცი ვერ გაივლიდა მგლის და აფთრის შიშით. კაი ბევრი ხიფათიც შეემთხვათ ახალი ცხოვრების გზამკვლევებს .

– ერთხელ მამაჩემს მგლის ხროვა დაესხა თავს, – იგონებს გიგო ჯიღაურის ვაჟიშვილი შალიკო, - თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ მამაჩემმა თოფის გასროლა მხოლოდ ერთხელ მოახერხა, მერე კი გახელებული მგლებს მხოლოდ თოფის კონდახითა და თოფის ლულით დაერია და გაფანტა კიდეც მგლის ხროვა, მაგრამ ერთმა მგელმა მაინც არ დაანება თავი, უკანიდან დაეტგერა. ოთაბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა და ბრძოლის ველიდან მამაჩემი მგლისგან დაგლეჯილ-დაკბენილი გამოვიდა გამარჯვებული, თოფის ლულა კი ისე იყო დაღრეცილი და დაგრეხილი, რომ სახმარად გამოუსადეგარი გახდა.

მარტო ნადირი როდი იყო ახალმშენებელთა მტერი. იმ დროს უდაბნოს ტერიტორიაზე ყაჩაღთა რამდენიმე ბანდა მოქმედებდა და შიშის ზარს სცემდა მწყემსებს. მამაჩემის საზრიანობის წყალობით ყველა ბანდა ლიკვიდირებული იქნა. აი, ერთი ეპიზოდი – ყაჩაღებთან შეხვედრის დროს ჩვენმა მილიციელებმა სამი აზერბაიჯანელი ბანდიტი მოკლეს. მამაჩემმა ურჩია მილიციელებს, იქვე გზის პირას დაემარხათ ბანდიტები, ვინაიდან ღამით მოვიდოდნენ აზერბაიჯანელები მიცვალებულების ამოსაღებად. ასეც მოხდა და მიცვალებულების ამოსაღებად ყველა ბანდიტი აზერბაიჯანელი შეპყრობილი იქნა.

– აი, მეორე მომენტიც, – აგრძელებს გიგო ჯიღაურის ვაჟიშვილი – აზერბაიჯანელებს ძალიან უყვარდათ ნაბდები. მამაჩემის რჩევით ფურგონებზე დააწყეს ნაბდები, ნაბდების ქვეშ კი მილიციელები დაწვინეს შეიარაღებულები. ბანდიტები ანგარიშში მოტყუვდნენ, ფურგონების აღალს თავს დაესხნენ და შენიღბულმა შეიარაღებულმა მილიციელებმა ასე მოსპეს ბანდიტები."

1928 წლისთვის გიგო ჯიღაურის თავდადებული შრომით მინდორ "ტაირზე" უკვე გაჩნდა მშენებარე სოფლის პირველი ქვიტკირის სახლები და სოფლის მკვიდრი მოსახლეობაც. დაიწყო ახალმოსახლეთა კარმიდამოს კეთილმოწყობაც. გიგო ჯიღაურს გვერდში ედგნენ და მის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ მისი თანასოფლელი ბიძაშვილები და მეზობლები – შალვა, ვანო და ზალიკო ჯიღაურები, გიორგი მარტიაშვილი, მიშა ჟონჟოლაძე, ნიკა უსტიაშვილი, გორია ხმალაძე, გიორგი ნარიმანიშვილი, გიორგი ხუციშვილი, ვანო მარტიაშვილი, სიმონა ელერდაშვილი, სანდრო ივანიაშვილი, ვასო გაგნიაშვილი და კიდევ მრავალი სხვა თანამემამულე.

ახალმშენებლებს ერთი დიდი საწუხარი ჰქონდათ – უწყლობა აწუხებდათ. აქაც გიგო ჯიღაურმა მოუხსნათ ეს პრობლემა. ახალმოსახლეთა სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგებისათვის დასახლებიდან 4 კილომეტრის მოშორებით მინდორ "დიფსიზზე" აღმოაჩინა წყარო და კეთილმოაწყო, იქვე ააშენა მშვენიერი წყარო. მერე "უანგირზე" და "ყარადუზზედაც" მოაწყო წყაროები და მეცხვარე მწყემსებს დიდი სამსახური გაუწია.

მაშინდელი საბჭოთა მთავრობა მატერიალურ სახსრებს და პატრიოტულ ზრუნვას არ იშურებდა უდაბნოს გზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისათვის, გიგო ჯიღაურმა თავისი თავდადებული შრომით და ორგანიზატორული ნიჭით "ტაირის" უკაცრიელი მინდორი უამრავი საცხოვრებელი სახლითა და კულტურულ-სამეურნეო ნაგებობებით დაამშვენა, ხოლო უკაცრიელი მინდვრები ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის სადგომებითა და ფარეხებით. გიგო ჯიღაურის შრომა და თავდადება ლეგენდად იქცა და სახელოვანი მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა.

მომდევნო წლებში გიგო ჯიღაურის ღვაწლი იმით დაფასდა, რომ დაბა უდაბნო კიდევ უფრო კეთილმოეწყო და მთელი საქართველოს საყოველთაო ზრუნვის საგნად გადაიქცა.

გიგო ჯიღაურისათვის გარეჯის უდაბნო გადაიქცა უდიდესი პატრიოტულ-მამულიშვილური ზრუნვის საგნად, რომლის დავიწყება უდიდესი უმადურობის საგნად იქცა და თითქმის დავიწყების ბურუსმა იმდენად გააფერმკრთალა, რომ ***საგარეჯოს რაიონში მისი სახელობის ქუჩაც კი არ არსებობს.***

გზირიშვილები

ნათქვამია, წუთია წუთისოფელიო, ამიტომ ვეშურებით ყოფითი პრობლემების მოგვარებას და გვიან გვიჩნდება კითხვა – საიდან მოვედით, ვინ ვართ, საით მივდივართ, რატომ და რისთვის. არის გვარები, რომლებიც თავადვე „შიფრავენ" მოსვლის მისიას, მიზანს. არსებობს გვარები, რომლებიც ხელობას, პროფესიას მიგვანიშნებენ. პირველი გვარი საქართველოში ფარტასძე VI საუკუნეში გაჩნდა. ჯერჯერობით არ ვიცით რას ნიშნავდა ფარტა. მეორე გვარი კი ბერიძეა, რომელიც დღესაც გავრცელებულია საქართველოში.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიწყებთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარების ისტორიისა და მათი წარმოშობის შესახებ საუბარს. ამჯერად გთავაზობთ გვარის – გზირიშვილების წარმომავლობას.

გზირიშვილების საგვარეულო 1995 წლის მონაცემებით მთელს საქართველოში აღრიცხული იყო 1182 სული რაოდენობით. მათ შორის თბილისში ცხოვრობდა 288 სული, საგარეჯოში 181 სული, კასპში – 240, ხოლო დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

გზირიშვილების წინაპრები მიგრაციული პროცესების შედეგად ქართლიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებული XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

კახეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის XVIII საუკუნის 20-იანი წლების მონაცემებით საგარეჯოში აღწერილი იყო 3 კომლი გზირიშვილი. სოციალური მდგომარეობით ისინი ითვლებოდნენ – 2 კომლი დავით გარეჯის ყმებად, ხოლო 1 კომლი ნინოწმინდის საკათედრო მონასტრის ყმად.

გზირიშვილების საგვარეულოს წარმომავლობა უნდა მომდინარეობდეს ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვისგან. გზირი, მთელს შუა საუკუნეებში იყო საქართველოში სამოხელეო თანამდებობის დაბალი საფეხურის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი, მის განკარგულებათა შემსრულებელი, შიკრიკი.

ირანის გამძვინვარებულმა მბრძანებელმა შაჰ-აბას I-მა XVII საუკუნის დასაწყისში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის რუსეთთან დამეგობრებისა და დასავლური ორიენტაციის მიღების საპასუხოდ გადაწყვიტა მთელი კახეთის ქართული მოსახლეობის გენოციდი და კახეთში თარაქამა თურქმანების ჩამოსახლება.

განსაკუთრებით სისხლისმღვრელი და გამაპარტახებელი იყო ირანის ყიზილბაშთა შემოსევები კახეთში 1614-1615 და 1616 წლებში, რომლის დროსაც კახეთის მოსახლეობის 200 ათასი კაცი მტერს შეაკვდა, ხოლო 150000 ირანის შიდა პროვინციაში გადაასახლეს. განსაკუთრებით დიდი სისასტიკით მოექცნენ დამპყრობლები გარე კახეთს. მთელი ივრისპირეთის სოფლები და თბილისის მიმდებარე ტერიტორია (რუსთავ-გარეჯის) მოსახლეობა ნაწილი ფიზიკურად მოსპეს, ხოლო ტყვედ ჩაგდებული ასეულათასობით ოჯახი ფერეიდანში გადაასახლეს. მათ ადგილზე თარაქამა თათრები ჩამოასახლეს. საგარეჯო და სხვა სოფლები პირწმინდად გადაწვეს და იავარქმნეს. საგარეჯო თითქმის 30 წელი ნასოფლარად იქცა და ტყე-ბუჩქნარი აღმოცენდა ნახანძრალ მიწაზე. მხოლოდ XVII საუკუნის II ნახევარში დაიწყო საგარეჯოსა და მეზობელი სოფლების განაშენიანება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჭარბი მოსახლეობის ჩამოსახლება, რასაც ხელმძღვანელობდა დავით გარეჯის მონასტრების ახლად დანიშნული წინამძღვარი, წარმოშობით გურული აზნაური ონოფრე მაჭუტაძე 1690 წლიდან.

საგარეჯოში ქართლიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, იმერეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან და სამეგრელოდან ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ შეავსო კახეთის, განსაკუთრებით გარე-კახეთის ნასოფლარები. პირველი ეკლესია, რომელიც ონოფრე მაჭუტაძემ ააშენა 1710-1712 წელს, იყო პეტრე-პავლეს ეკლესია.

ჩემი აზრით, გზირიშვილების საგვარეულო უნდა ჩამოყალიბებულიყო XVII საუკუნის ბოლოს, ქართლიდან ჩამოსახლებული იმიგრანტებისაგან, ვინაიდან კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრებში სამი კომლი გზირიშვილი არის დაფიქსირებული.

საგარეჯოში ჩამოსახლებული გზირიშვილები, ისევე, როგორც სხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებული ახალმოშენეები, ალბათ სხვა გვარებს ატარებდნენ, ხოლო საგარეჯოში ჩამოსახლების შემდეგ გვარი შეიცვალეს. ამას თავისი გამართლება ჰქონდა. საგარეჯოში (გარეკახეთში) სხვადასხვა რეგიონებდან ჩამოსახლება მთლად უმტკივნეულოდ არ ხდებოდა. იმიგრანტების უმრავლესობა ყმა-გლეხები იყვნენ და უმეტესობა თავისი მეპატრონე ფეოდალების უნებართვოდ იყვნენ გამოქცეულები, ისინი თავის მეპატრონე ფეოდალის მძიმე უღელს გამოექცნენ, იმისათვის, რათა სამართლებრივად თავი დაეცვათ, გვარებს იცვლიდნენ და თავის მეპატრონეებს ემალებოდნენ.

ახალ ადგილზე დასახლებული გვარები ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით თავს კარგად გრძნობდნენ, ისინი ან საეკლესიო-სამონასტრო ყმებად, ანდა უშუალოდ კახეთის მეფის სახასო ყმებად ეწერებოდნენ. მიწის მეპატრონეები ხდებოდნენ, მიწას, რამდენის დამუშავებასაც შეძლებდნენ, იმდენს იღებდნენ. საეკლესიო-სამონასტრო ყმები ეკლესია-მონასტრების ბენეფიციარებად ითვლებოდნენ და მათ მოვალეობას შეადგენდა მონასტრების მამულების დამუშავება-პატრონობა, მონასტრების დაცვა. რაც შეეხება სამეფო-სახასო ყმებს, მათ ევალებოდათ ომიანობის დროს ლაშქრად გასვლა და სამშობლოს დაცვა. რაც შეეხება გადასახადებს, ის უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა.

გზირიშვილები გამოირჩეოდნენ როგორც პატიოსანი, ზნეკეთილი, მშრომელი ადამიანები, რომლებიც მაგალითის მიმცემები იყვნენ სხვა ახალმოშენეებისთვის. ისინი იყვნენ კარგი მეურნე მხვნელ-მთესველები, კარგი, ხელმარჯვე ხელოსნები და რაც მთავარია, კარგი სპორტსმენები. საგარეჯოში ლეგენდად დარჩა ქართული ჭიდაობის ბეჭდაუდებელი გოლიათი ფალავანი შალვა გზირიშვილი, არც მის შვილებს უდალატიათ ოჯახური ტრადიციებისათვის. შესანიშნავი ფალავნები იყვნენ შალვა გზირიშვილის ვაჟიშვილები გიორგი, ხუტა და ტარიელი.

ძველი თაობის საგარეჯოელებს დღემდე არ დავიწყებიათ საკმაოდ კოლორიტული პიროვნება, საგარეჯოს მონადირეთა კავშირის თავკაცი ზოსიმე გზირიშვილი, თავისი კაიკაცობით. მან მთელ საგარეჯოს რაიონში დატოვა კარგი სახელი და შესანიშნავი შთამომავლობა.

გზირიშვილების საგვარეულომ რაიონს მისცა საუკეთესო შთამომავლობა – ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები და ფართო პროფილის სხვა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც აქტიურად არიან ახალი საქართველოს ცხოვრებაში ჩაბმული.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
კულტურის დამსახურებული მოღვაწე-მწიგნობარი

ვისი გორისა ვართ?!

ხელოვნების სამსახურში

ქალი – ქართული ქორეოგრაფიის დესპანი, ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი

მამას ჩუმად ეპარებოდა, იცოდა – მკაცრი და „კახური წესების“ მოყვარული კაცი არასოდეს გაუშვებდა თეატრში,მით უმეტეს მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად. 15 წლის იყო, როცა სპექტაკლ „წმინდანები ჯოჯოხეთში“ 70 წლის ნადეჟდას როლი შეასრულა. სასაცილო იყო, 15 წლის გოგონას იმდენი გრიმი დასჭირდა სახეზე, საკუთარ თავსაც ვეღარ სცნობდა. მაგრამ... 70 წლის ქალის თვალები ვერ „მოუძებნეს“, „ლურჯი, კვასკვასა, ვარსკვლავებაციმციმებული თვალები დახარე და საერთოდ, მაღლა არ აიხედო“-ო, მკაცრად გააფრთხილეს. პრემიერის წინა ღამეს მამამ მკაცრი „დაკითხვა მოუწყო“ – ამხანაგმა მითხრა, შენი გოგო სპექტაკლში მონაწილეობსო, აფიშაზე წავიკითხეო. „ფიცი-მტკიცი“ ერთმანეთში აირია, არა, მე არა ვარო, როგორ შევასრულებ 70 წლის ქალის როლსო და მამამ კი დაიჯერა. მაგრამ,მაყურებელი ვერ იჯერებდა თუ 70 წლის ქალის როლს ამოფარებული 15 წლის გოგონა იყო. თუმცა შემდეგაც არ გვაკლებდა თავისებურ სიურპრიზებს **თინათინ მეზვრიშვილი**. პატარა, კაფანდარა გოგონა მსახიობად საგარეჯოს თეატრის სცენაზე ჩამოყალიბდა. ჯიმშერ ძაბილაშვილის, ეთერ თედიაშვილის, გიორგი არაბულის, ნანული ბილანიშვილის და სხვათა და სხვათა გვერდით, წლების მანძილზე იყო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გარეჯის“ სოლისტი. მონაწილეობა აქვს მიღებული ფესტივალებში ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, მოსკოვში – სამთავრობო ღონისძიებებზე... ერთხანს თავადაც მოსინჯა რეჟისორის მძიმე და საპასუხისმგებლო „საჯილდაო ქვა“ და საკმაოდ წარმატებით – „დაგვიანებული ბედნიერება“ და „რეპეტიცია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“. „დაგვიანებულ ბედნიერებაში“ თავადაც ასრულებდა თეონას როლს,მეორე სპექტაკლში კი – რეჟისორის როლს. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ორივე სპექტაკლი, მისი რეჟისორი და როლის შემსრულებელი.

1990 წლიდან საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი იყო, მაგრამ ვერ გაძლო – სცენა იზიდავდა, სცენა, რომელსაც ამშვენებდა თავისი ვიზუალით, იუმორით, ნიჭითა და შესაძლებლობებით. 90-იან წლებში, როცა ბავშვებს ბავშვობა არ ჰქონდათ და ახალგაზრდები ერთმანეთს ვეღარ ხვდებოდნენ, მან მოიფიქრა და საგარეჯოს თეატრის სცენაზე „ფერიების მეჯლისი“ დიდ ზეიმად უქცია ბავშვებს და არა მარტო ბავშვებს,გასართობ სანახაობას მოკლებულ ხალხს ვერ იტევდა თეატრის დარბაზი, ის დღეები ჩვენც გვახსოვს – გაცისკროვნებული სახეები ჩვენი შვილების, შვილიშვილების... „სილამაზის კონკურსი“ სოფლებშიც იმართებოდა...

ხედავდა ბავშვების სურვილს და 2000 წელს უკვე სერიოზული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ ჩამოაყალიბა, რომლის სოლისტები ოთხი წლის პატარებიც იყვნენ. მათ ცეკვით, ოვაციებით, ჯილდოებით შემოიარეს 6-ჯერ თურქეთი, თელავი, ყვარელი, სიღნაღი, გურჯაანი, ქუთაისი, საჩხერე, ვანი, ქობულეთი, ბათუმი, ურეკი, მცხეთა, 5-ჯერ იყვნენ „არტგენზე“ და იმდენად შინაურები არიან უკვე მათთვის, ქალთინგის გარეშე უშვებენ ფესტივალზე...

და მაინც ვინ არის თინათინ მეზვრიშვილი?

ნომერ პირველი პროფესია – დიპლომირებული – დაკონსერვების ტექნოლოგი (დამთავრებული აქვს საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი), კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორი (შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი), იურისტი, სამართალმცოდნე (თსუ-ს პროფესიათა ფაკულტეტი).

მაგრამ... ნომერ პირველი პროფესია – მსახიობი, ქორეოგრაფი, რეჟისორი, მკერავ-დიზაინერი (მისი შეკერილი ეროვნული ტანსაცმელი აცვიათ მოცეკვავეებს);

ნომერ პირველი პროფესია – დედა (ჰყავს 2 შვილი, 6 შვილიშვილი), კულინარი, დიასახლისი.

და უპირველესად კი ქალი, რომელიც ამშვენებს, ალამაზებს და ხალისს მატებს საგარეჯოს და საგარეჯოელებს. გვახსოვს სატელევიზიო კონკურსში „მე ვარ ქალი“ მისი მონაწილეობაც, სადაც ყველა ქალი „დაჯაბნა“, მაგრამ საგარეჯომ საკმარისი SMS-ები ვერ მიაწოდა და პირველი ადგილი ჩვენ თავადვე დავკარგეთ.

2004 წელს იგი „ღირსების მედლით“ დაჯილდოვეს, 2012 წელს „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის“ წოდება მიანიჭეს, 2015 წელს კი სულ ახლახანს – „ქართული ქორეოგრაფიის დესპანის“. დამერწმუნეთ, ეს წოდებები ადვილად არ მიუღია, უბრალოდ – არის ქალიც, დედაც, ბებიაც, ქორეოგრაფიც, დიასახლისიც, კარგი კულინარიც და კარგი ადამიანიც.

და ყოველივე ამასთან ერთად, თინათინ მეზვრიშვილი საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის წარმატებული მენეჯერიცაა.

მისი ნახელავი ამეგობრებს და აახლოვებს

ბავშვობაში, როცა დიდ „ბატონებს“ მასპინძლობდა, სახლში მოუწია სამი კვირით ყოფნა. რა ეკეთებინა? სულ ხომ წიგნებს არ წაიკითხავდა?! დედამ, ხომასურიძის ქალმა კარგად იცოდა კერვა, იმდენად, რომ ორივე ბებია მის წინაშე „ფარ-ხმალს“ ყრიდა ხელგარჯილობაში. რუსთავის ქუჩებში გასულებს ყველა ყურადღებას აქცევდა პატარა გოგონებს, მაშინ ასე ადვილი არ იყო შეკერილი ტანსაცმლის ყიდვა – მათ კი ძალიან ლამაზად შეკერილი კაბები ეცვათ... ხოდა დედამ ასწავლა იმ სამ კვირაში ქარგვა, პირველი ფიგურების გვირისტი... შემდეგ თავად დაინტერესდა. პატარა გოგონა დედას აღარ სცილდებოდა, კარგად ისწავლა ქსოვაც და უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლისას, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ყურადღებას არა მარტო ტანსაცმლით იქცევდა, მნახველის ინტერესს იწვევდა მისი ხელჩანთებიც. საოცარი იყო მისი მოქსოვილი ჩანთები, კაბები, სვიტერები, შემდეგ ქუდების მოქსოვაც დაიწყო. ასეა ახლაც... მოქსოვს, შეკერავს და ამხანაგებს, მეგობრებს ჩუქნის. სასაცილოა თითქოს, მაგრამ მისი „ფირმის“ ქუდებმა, საფულეებმა და ხელჩანთებმა თბილისელები და რუსთაველები ერთმანეთს გააცნო – დიმილით ხვდებიან პირველად შეხვედრილები ერთმანეთს, დიმილითვე ეკითხებიან – სამკაულებზეც – საყურეებზე, მძივებზე, ძალიან ლამაზ, ლამაზ ნაკეთობებზეც – ეს ნესტანის ნახელავიაო?!

ნესტან სულთანიშვილი უდაბნოში ცხოვრობს. აქვე შექმნა ოჯახი – აქაურ ბავშვებს ინგლისურ ენას ასწავლის, ხელოვნების სიყვარული სულში აქვს გამჯდარი. არ შეიძლება რაიმე არ შექმნას, რაიმეზე არ იფიქროს. – საერთოდ ემოციების, განცდების საუბრით გადმოცემა არ შემიძლია. ჩემი ფიქრებიც, განცდებიც, ემოციებიც – ტკივილიც და სიხარულიც ჩემს მიერ

შექმნილ ნაქარგობებში, ნაკეთობებშია – ძალიან მამშვიდებს, ენერგიით მავსებს თითოეული მძივის, საყურის გაკეთება, ფიგურების ამოქარგვა, ტანსაცმლის ქსოვა. არ მიყვარს რაღაც ნივთის, ტანსაცმლის „მოძულება“. გადაგდება, შეიძლება კაბისგან, შარვლისგან ლამაზი ხელჩანთის გაკეთება. წარმოიდგინეთ, ხელჩანთა ძველი „ბარხატის“ შარვლისაგან შევკერე, – მეუბნება ნესტანი და ხელჩანთას მიჩვენებს.

– თუ ასწავლით ვინმეს ამ ხელოვნებას? – ვეკითხები.

– უდაბნოში ძირითადად ბავშვები ხალხური სიმღერების შესწავლით არიან დაინტერესებულნი, ელემენტარულს სახლშიც სწავლობენ, ხოლო სკოლაში ხელოვნების გაკვეთილზე მათ პედაგოგი პროგრამულს ასწავლით. ისე, თუ ვინმე დაინტერესდება, უარს არავის ვეტყვი. კერამიკა, ქარგვა და ქსოვა ასე მგონია, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანმა უნდა იცოდეს. ეს აუცილებელიცაა და გაჭირვებისა თუ დალხინების დროს – გარკვეული შემოსავალიცაა. ადრე, სანამ რუსთავში ვცხოვრობდი, ჩემს ნახელავს უცხოელები ყიდულობდნენ, ახლა კი უდაბნოში წლებია, უცხოელები „გავლით“ თუ არიან, სოფელში არც იხედებიან, – მეუბნება.

აქაური ქალები კი შრომისმოყვარენი, გამრჯე და შემოქმედნი არიან, შემოქმედნი, რადგან ძნელია გაუძლო უდაბნოს რთულ კლიმატურ პირობებს, სოციალურ ფონს, თავაუდებელ შრომას, მაგრამ ყველას აქვს რაღაც მიმალული, განსაკუთრებული ნიჭი, ზოგს სიმღერის, ცეკვის, კულინარიული, სოფლის, კერიის, ფუძის ერთგულების. ნესტანიც მათ შორისაა, მათთან ერთად ცხოვრობს სოფელ უდაბნოს ცხოვრებით და იქაურებს თავისი ლამაზი ნაკეთობებით ახარებს...

უდაბნოში მხოლოდ ნესტანი არ მეგულება დღეიდან ხელოვნების ტრფიალად, იქ ყველა ხელოვნების მოყვარულია, სხვანაირად ვერ გაუძლებენ ვერც უდაბნოს სიცხეს და ვერც თავს მოჯარულ პრობლემებს, ისინი სიყვარულით და მორჩილებით ხვდებიან ზაფხულის ხვატსაც და მძიმე, ყინვიან ზამთარსაც. აქ ყველა დრო მაინც ლამაზია და ყველაფერს მაინც თავისი ხიბლი აქვს.

P.S. ეს ლამაზი ხელოვანი ქალბატონი საგარეჯოს სახალხო თეატრის მენეჯერმა ქნმა თინათინ მეზვრიშვილმა გამაცნო, რისთვისაც მადლობა მას!

ადამიანთა გარკვეული ნაწილი ავადმყოფობისგან თავის დასაღწევად ხალხურ მედიცინას მიმართავს – მკურნალობს მცენარეული ნაყენებით, მალამოებით, ნაწილი კი მედიტაციას მიმართავს. ის, რასაც ახლა შემოგთავაზებთ, ეფექტური და უვნებელია, ოღონდ ამ მუდრების გამოყენება დღეში მხოლოდ ერთი საათითთ შეიძლება.

როგორც ცნობილია, ხელის თითებში გადის ენერგეტიკული არხები და მათი დაბოლოებები ძმნიან გარკვეულ ენერგო პოლუსებს. ხელის ხუთი თითი შეესაბამება ხუთ სტიქიას და მათი კომბინაციური შეერთებები ორგანიზმში ამა თუ იმ ენერგიის გააქტიურებას უწყობს ხელს. თითების ამგვარ კომბინაციებს მუდრები ეწოდება. მუდრები აღოსავლეთის ძველ ნაბეჭდებში (და არა მარტო იქ) ფართოდ არის გავრცელებული. მას იყენებენ თითქმის ყველა მეტაფიზიკურ მეცნიერებაში (მედიტაციის დროს), აღმოსავლურ მედიცინაში (რელაქსაციის დროს), რელიგიაში (ლოცვის დროს) და ასევე ოკულტურ დისციპლინებში.

იქნებ გვეცადა?!

მუდრები, ანუ თითების იოგა

მუდრა „ნიშარა“

მუდრა „ნიჟარა“ აღმოსავლეთში შივას ატრიბუტად ითვლება. ის დადებითად მოქმედებს ყელზე და ნერვიულობისგან გამოწვეულ სპაზმებზე. აძლიერებს ხმას, ამიტომ მას მიმართავენ მომღერლები, მსახიობები და ორატორები.

შესრულების მეთოდიკა: ორი შეერთებული ხელი ქმნის ნიჟარის ეფექტს, მარჯვენა ხელის ოთხი თითი შუაში „იმწყდევს“ მარცხენა ხელის ცერა თითს, ხოლო მარჯვენა ხელის ცერა თითი მათ ზემოდან ეფარება.

„ძროხის მუდრა“

ამ მუდრას ძლიერი ტკივილებისას მიმართავენ, განსაკუთრებით რევმატული და სახსრების ტკივილისას, ასევე რადიკულიტის დროს.

შესრულების მეთოდიკა: მარჯვენა ხელის ნეკა თითი უერთდება მარცხენა ხელის არა თითს, მარცხენა ხელის ნეკა თითი – მარჯვენა ხელის არა თითს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი – მარცხენა ხელის შუა თითს, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი – მარჯვენა ხელის შუა თითს. ცერა თითები დაშორებულია.

„ცოდნის მუდრა“



ერთ-ერთი

ყველაზე ძლიერი მუდრაა. ხსნის ემოციურ დაძაბულობას, განგაშის შეგრძნებას, მოუსვენრობას, დარდს, დეპრესიასა და მელანქოლიას, ხსნის უძილობას, აუმჯობესებს აზროვნების პროცესს და ააქტიურებს მეხსიერებას. მას ბევრი ფილოსოფოსი და მოაზროვნე იყენებს.

შესრულების მეთოდიკა: საჩვენებელი და ცერა თითები ერთმანეთს უერთდება, ხოლო დანარჩენი თითები გასწორებულია (დაძაბვის გარეშე).

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

ქუთაისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულნი

13-15 ნოემბერს ქუთაისში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზაურ შეყილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მურად დოხტურიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში იმერეთის, ქართლისა და საქართველოს სხვა რეგიონების მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მეზობელი ქვეყნების: აზერბაიჯანის, სომხეთისა და ინგუშეთის ფალავნები, საგარეჯოდან აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რამაზ ასაბაშვილისა და დავით ბაბუნაძის აღსაზრდელები.

შეჯიბრებაში საგარეჯოელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან თავი ისახელა და 26 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის აღსაზრდელი თორნიკე ასაბაშვილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან შეხვედრაში ანგარიშით 8:1 დაამარცხა გორელი მეტოქე, ხოლო ფინალში 12:1 – ინგუში მოწინააღმდეგე და ღირსეულად დაეუფლა ოქროს მედალს.

საგარეჯოელები ასახელა და ასევე ასპარეზობის ჩემპიონი გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ბაჩო ქვლივიძე. ამ გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე მან ნახევარფინალში 10:0 დაამარცხა სამტრედიელი მოჭიდავე, ხოლო ფინალურ შეხვედრაზე ქულათა იმავე რაოდენობით სძლია ქუთაისელ მოწინააღმდეგეს.

გამარჯვებასა და ჩემპიონობასთან სულ ახლოს იყო 42 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ფირუზ ქვლივიძე, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა აჭარელი მეტოქე. სამწუხაროდ, ფინალურ შეხვედრაში დამარცხდა ამბროლაურელ მოჭიდავესთან და ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

არ გაუმართლა 54 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კიდევ ერთ საგარეჯოელ მოჭიდავეს – დავით კუჭუაშვილს,რომელიც ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში დამარცხდა თბილისელ მოჭიდავესთან. მან III ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა სამტრედიელი მეტოქე და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

სურათზე: *აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი მწვრთნელებთან ერთად.*

ვერცხლის მედალი ჯიუ-ჯიცუს მსოფლიო ჩემპიონატიდან

უკვე ერთი წელია, რაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ინიციატივითა და ძალისხმევით საგარეჯოს III საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ფუნქციონირებს ტაიკვანდოს შემსწავლელი სექცია, რომელშიც 15-დან 20-მდე საგარეჯოელი მოზარდი ეუფლება სპორტის ამ სახეობას. ტაიკვანდოში მათი მწვრთნელია საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ნაკრების წევრი, საქართველოს ჩემპიონი და ორი შავი ქამრის მფლობელი 22 წლის **არკადი ზუბიაშვილი.** საგარეჯოელი მოზარდების წვრთნის გარდა ახალგაზრდა მწვრთნელი თავადაც მონაწილეობს სხვადასხვა ასპარეზობებში და არცთუ უშედეგოდ. ამასწინათ, 21-23 ნოემბერს, მან საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ნაკრების წევრ გიორგი ობოლაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ქალაქ იავოროჟნოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში სპორტულ ჯიუ-ჯიცუში ჯგუფურ-წყვილთა სპორტულ თავდაცვაში, სადაც შეძლეს II ადგილისა და ვერცხლის მედლის მოპოვება.

ჩვენი მწვრთნელ-მასწავლებლის ეს წარმატება მით უფრო საამაყოა, რომ მას ასპარეზობა მოუწია არგენტინის, ვენესუელის, სენეგელის, ალჟირის, აშშ-ს, ახალი ზელანდიის და ევროპის ქვეყნების გამოცდილ მებრძოლებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია პირველად იღებდა მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში.

შეგახსენებთ,რომ ჯიუ-ჯიცუ კარატესა და ძიუ-დოს ილეთების მატარებელი სპორტის სახეობაა,რომელიც ერთობ პოპულარულია ევროპაში. ამის გათვალისწინებით საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია მომავალ გაზაფხულზე თბილისში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირის გამართვას აპირებს,რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართველი სპორტსმენების დაოსტატებას. ამასთან, ეს ტურნირი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნება მსოფლიოს 2016 წლის სალიცენზიო ჩემპიონატისათვის, სადაც გაირკვევა ჯიუ-ჯიცუს 2017 წლის მსოფლიო თამაშების ბედი და რა თქმა უნდა, არკადი ზუბიაშვილიც შეეცდება არ დარჩეს ამ თამაშებში მონაწილეობის გარეშე. მანამდე კი კვლავ გააგრძელებს ინტენსიურ მზადებასა და საგარეჯოელი მოზარდების ვარჯიშებს, რომელთა მეცადინეობები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელშეწყობით უფასოა.

ძიუდო

საგიორგოოდ ქუთაისში ჩატარდა პირად-გუნდური რესპუბლიკური ტურნირი

ძიუდოში 1999-2000 წლიან მოჭიდავეთა შორის, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო კლასის სპორტის დამსახურებული ოსტატის, ცნობილი ქართველი ფალავნის აკაკი კიბორძალიძის ხსოვნას.

ტურნირზე საასპარეზოდ ქუთაისისა და იმერეთის ნაკრებებთან ერთად წარმოდგენილი იყო გორის მუნიციპალიტეტის 3, ლენტეხის, თბილისისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების გუნდები.

პირველი შეხვედრა „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოსტებს ქ. გორის ნაკრების წევრებთან ჰქონდათ, რომელიც ადვილად დაამარცხეს, მაგრამ II შეხვედრა დათმეს ქუთაისის ნაკრებთან. ამის შემდეგ საგარეჯოელებს დაძაბული შეხვედრა ჰქონდათ გორისჯვრის ნაკრებთან, რომელთან შეხვედრაშიც გამოეთიშნენ საფინალო ორთაბრძოლას. ამ წარუმატებლობის მიუხედავად ჩვენს ძიუდოისტებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება იზეიმეს ლენტეხის ძლიერ გუნდთან და თბილისის „შევარდნის“ გუნდთან ერთად შეძლეს III ადგილების გაყოფა.

გუნდური III ადგილი ქუთაისის რესპუბლიკური ტურნირიდან

საბოლოო შედეგებით პირად-გუნდური პირველობის ჩემპიონობა ქალაქ გორის ნაკრებმა იზეიმა. შეგახსენებთ, რომ რაიონის გუნდი დაკომპლექტებული იყო მწვრთნელების მამუკა მათიაშვილის, ნუკრი გაგნიაშვილისა და ლევან ბასილაშვილის აღსაზრდელებით.

ტურნირზე გუნდის ღირსებას იცავდნენ ამირან დარბაისელი, ნიკა ბასილაშვილი, გუგა მღებრიშვილი, ლაშა მათიაშვილი, დავით კურდღელაშვილი, პაატა მარტიაშვილი, ლევან ხაბარელი. გუნდის წარმომადგენელი ტურნირზე იყო თემურ კურდღელაშვილი.

ტურნირზე იმერეთის სამხარეო მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული იყო საპრიზო ფონდი 10000 ლარის ოდენობით. აქედან I ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდა 5000 ლარით, II ადგილზე – 3000 ლარით, ხოლო III ადგილების მფლობელი გუნდები – 1000-1000 ლარით. ფულად ჯილდოსთან ერთად საგარეჯოელ ძიუდოისტებს გადაეცათ ტურნირის საპატიო თასი.

გ. ღაბახიშვილი

გაბრძელება

„ჩანდმანას თასის მუდრა“

ადმოსავლეთში ეს მუდრა სულიერი სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლება. ის ახდენს ადამიანის სხეულის, გულისა და ტვინის ჰარმონიზაციას. ხდება მეტაფიზიკური კავშირის დამყარება კოსმოსთან. ეს მუდრა განსაკუთრებით გამოიყენება ლოცვის დროს არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ქვეყნებშიც (იგივე იუდაიზმსა და ქრისტიანობაში).

იქნებ გვეცადა?!

მუდრები, ანუ თითების იოგა

„ცის მუდრა“



კარგია მათთვის, ვისაც აწუხებს ყურის დაავადებები და ცუდი სმენა. ზოგიერთ შემთხვევაში,ცის მუდრის რამდენიმე წუთის განმავლობაში შესრულებისას, შესაძლებელია სმენის გაუმჯობესება, ხოლო მისი დიდი დროით და სისტემატიურად შესრულება ყურის ზოგიერთი დაავადების სრულ განკურნებას იწვევს.

„ქარის მუდრა“



ამ მუდრის დანიშნულებას წარმოადგენს “ქარის” (ჰაერის) შესუსტება სხეულის სხვადასხვა ნაწილში, რომლის გადამეტებული კონცენტრაციაც გამოიხატება ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა რევმატიზმი, იშიაზი, ხელების, კისრის და თავის კანკალი. ქრონიკული დაავადებების დროს საჭიროა ეს მუდრა სიცოცხლის მუდრასთან ერთად მონაცვლეობით ვაკეთოთ.

შესრულების მეთოდიკა: საჩვენებელი თითი იხრება ისე, რომ ბალიშით ედება ცერა თითის ძირს, ხოლო ცერა თითი ზევიდან ედება საჩვენებელს. დანარჩენი თითები გამართული და მოდუნებულია.

გაბრძელება იქნება

საქართველოს მფარველი წმინდა გიორგი

მართლმადიდებლობა

მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია წმიდა გიორგის დღესასწაულს წლის განმავლობაში ორჯერ აღნიშნავს: 6 მაისს, წმიდა გიორგის გარდაცვალების დღეს და 23 ნოემბერს, ბორბალზე წამების დღეს.

წმიდა გიორგი მართმადიდებლური სამყაროს, მართლმადიდებლური სამოციქულო, ჩვენი კათოლიკე ეკლესიის, მსოფლიო მართმადიდებლების და ზოგადად ქრისტიანების უდიდესი წმიდანია. წმიდა გიორგი იმპერატორის კარზე მხედართმთავარი იყო. მას, როგორც ადამიანს, ყველა მონაცემი ჰქონდა იმისა, რომ ნიჭიერი და ყველაზე წარჩინებული მამაკაცი ყოფილიყო. მაგრამ წმიდა გიორგიმ ჭეშმარიტების, რწმენის და ქრისტიანობის გზა აირჩია.

მას იმპერატორი საკუთარ ტახტსაც კი სთავაზობდა. თუ გიორგი დიოკლიტიანეს ქალიშვილზე დაქორწინდებოდა, ის ბუნებრივად დიდი იმპერიის მმართველი გახდებოდა. ამით კი იმპერატორს, ქრისტიანობასთან ბრძოლაში დაეხმარებოდა. მაგრამ, პირიქით მოხდა. ქრისტიანობასთან ვითომდა მებრძოლი გიორგი, ქრისტიანობის დამცველ წმიდა გიორგად გადაიქცა.

ამიტომ, იმპერატორმა წმიდა გიორგის განსაცდელები მოუწყო. მისი სამაგალითოდ დასჯისათვის შეიქმნა წამების ისეთი იარაღები, რომლებსაც კაცობრიობა არც კი იცნობდა.

საოცრება ის იყო, რომ ყოველი აღსრულებული მოწამეობრივი აქტის შემდეგ, როდესაც წმიდა გიორგი ყველას სისხლისგან დაცლილი და მკვდარი ეგონა, მიდიოდნენ მასთან, ის კი აბსოლუტურად აღმდგარი და მთელი სხეულით ხვდებოდა, რაც მათ გაოცებას და აღშფოთებას იწვევდა.

გამოიგონეს საწამებელი ბორბალი, რომელზეც დანები სხვადასხვა მხარეს იყო განლაგებული. ჰაერში, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თითქმის გაშიშვლებული წმიდა გიორგი ჰყავდათ ჩამოკიდებული. დანები ქვემოდან სერავდნენ. ამ დროს სხეული სისხლისგან იცლება და ადამიანი საოცარ წამებას განიცდის. მაგრამ ყოველი ასეთი წამების შემდეგ, წმიდა გიორგის სხეული, სულთან ერთად აღმდგარი და გამთლიანებული ხვდებოდათ.

ამან გამოიწვია არა ქრისტიანობის დაკნინება, ან დასჯა, არამედ ათასობით ადამიანი მოექცა და შეუდგა ქრისტეს გზას. თითქმის ნახევარი იმპერია, ქრისტიანად მოინათლა. ამ ღვთაებრივი სასწაულებით წმიდა გიორგიმ დიოკლიტიანე და წარმართული მრავალღმერთიანობა დაამარცხა.

> **“ტყვეთა განმანთავისუფლებელო და გლახაკთა ხელისაღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის”.**

წმიდა გიორგისთვის არ არსებობდა არავითარი მეფური და მდიდრული. შეიძლება გაგვიკვირდეს, როგორ თქვა უარი ამხელა იმპერიაზე. მაგრამ ქრისტიანობა, დიდებისგან გასვლაა. ქრისტიანობა თავმდაბლობაა. იგი იყო მონა ღვთისა და არა მონა მეფისა და ვინმე იმპერატორისა. ყველა მართმადიდებელ ადამიანში თავმდაბლობა უნდა იყოს. წმიდა გიორგი ვაჟკაცობის, თავმდაბლობის და თავგანწირვის მაგალითი იყო. მაცხოვარმა გიორგის სახით მოგვცა უდიდესი გმირი. ადამიანი, რომელიც ეძიებდა სიკვდილს ქრისტესთვის და შეეწირა კიდევაც მას.

თეთრი გიორგი

თეთრი გიორგის სახელი წარმართული ხანიდან მოდის და იგი იყო გამარჯვებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო. როდესაც საქართველოში მე-4 საუკუნიდან წმიდა გიორგის ხსენების დღე დაწესდა, ქართველმა ხალხმა თეთრი გიორგის ნიშანთვისებები არ დაკარგა და იგი წმიდა გიორგიში შეირწყა.

ორი გიორგის შერწყმას, ჩვენ ფრესკებზეც ვხედავთ. ჩვენი ფრესკოლოგები და ძველი მხატვრები, თეთრ ცხენსაც კი ხატავდნენ, რომელზეც წმიდა გიორგი ამხედრებულია შუბით ხელში და განგმირავს გველეშაპს, რომელიც არის ბოროტების, ცთომილების და უარყოფითი ძალების სიმბოლო.

ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ, წმიდანების გამოსახვა სხვადასხვა ასპექტში. ის თუ როგორ არის წმიდა გიორგი გამოსახული – ამხედრებულია ცხენზე თუ დგას შუბით ხელში. ჩვენ გვაქვს ასეთი ხატი, წმიდა გიორგის დამარცხებული გველეშაპი მიჰყავს ლასიის მეფის სელინიოსის ქალიშვილთან. წმიდა გიორგი იმდენად დათრგუნავს ბოროტებას, რომ გველეშაპს კი არ კლავს და განგმირავს შუბით, არამედ მასაც ჩართავს და დადებით კონტექსტში აამოქმედებს და თითქოს კარგი დაცვასავით, მომავალ დედოფალთან მიჰყავს.

აი ასეთი მიდგომაა ქრისტიანობაში წმიდა გიორგისადმი. აქ დიდი სიბრძნეა ჩადებული, ბოროტების არა მოკვდინება, არამედ ამ ბოროტების სიკეთეში გადაყვანა და დადებით კონტექსტში გამოყენება. ქართული ქრისტიანული კულტურისათვის კი ნიშანდობლივად დამახასიათებელია ასეთი მიდგომა წმიდა გიორგისადმი.

წმიდა გიორგის ტაძრები

არის ასეთი საეკლესიო გადმოცემა, რომ თითქოს, საქართველოში წმიდა გიორგის სახელობის იმდენი ტაძარია, რამდენი დღეც არის წელიწადში. მაგრამ სინამდვილეში, ალბათ, ბევრად მეტია. თითქმის ყველა სოფელშია წმიდა გიორგის ტაძარი. ისეთი სიმრავლე ეკლესიებისა, რამდენიც საქართველოშია, მსოფლიოში არც ერთ მართლმადიდებულ ქვეყანაში არ არის.

წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები

ჩვენთან წმიდა გიორგი აღმატებული წმიდანია. საქართველოში მისი მუხლის თავი ინახება, როგორც წმიდა ნაწილი. ჩხარში იყო უძველესი წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც ჩვენმა მეფეებმა, დასავლეთ საქართველოს ბაგრატოვანებმა ააგეს. მას შესწირეს წმიდა გიორგის ნეკი, რომელიც იქ ინახებოდა. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ეს სიწმინდე, ბათუმის ეპარქიაში გადაბრძანდა.

სასულიერო მოძღვართან

რატომ გვეძლევა ადამიანებს სნეულება?!

***კითხვებზე გვპასუხობს გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი მღვდელი* ბიორგი პავლოვი**

– მამა გიორგი, უამრავი ადამიანი იტანჯება სხვადასხვა სნეულებებით. გასული საუკუნის ბოლო ორი ათეული წელი და ახალი საუკუნის დასაწყისშივე ისეთი განუკურნებელი სნეულებები გამოვლინდა, რომლებიც არანაირ მკურნალობას არ ემორჩილება. ხშირი შემთხვევებია ონკოლოგიური დაავადებების. მასმედიის საშუალებით ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაციები ბავშვთა დაავადებების შესახებ – ისიც ონკოლოგიური და განუკურნებელი მახასიათებლებით. მასმედიითვე ვრცელდება ინფორმაციები იმ სასწაულების შესახებ, რომელსაც უფალი განუკურნებელი სნეულებებით დაავადებულებს (რომელზედაც მედიცინამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დამარცხდა), მართლაც რომ სასწაულებრივ განკურნებას მოუელენს, რის წინაშეც ქედს იხრის და მუხლს იყრის მედიცინის მუშაკი, მორწმუნე თუ თავად ურწმუნო ადამიანიც კი. როგორ აგვიხსნით ამას?

მამაო, რატომ გვეძლევა ადამიანებს სნეულება?

– ადამიანებს სნეულება სულის საკურნებლად ეძლევათ. მაგრამ, გვახსოვდეს, რომ ხორციელი სნეულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამით უფალი სნეულს ცოდვებს მიუტევებს. ამ შემთხვევაში უფალი აფხიზლებს ადამიანს, რათა მიხვდეს ის, რომ ავადმყოფობა და არა მარტო ავადმყოფობა, განსაცდელებიც სინდისის გამოსაფხიზლებლად მისცა. როცა ადამიანი სნეულებაშია, ის ევედრება უფალს გამოჯანმრთელებისათვის, მაგრამ ავიწყდება, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ სამადლობელი პარაკლისი აღავლინოს, მადლობა უთხრას უფალს. შეიძლება ზოგიერთი აქეთ შემოგედაოს, კურნება წამალმა მისცა და არა უფალმაო. მაგრამ იმ წამალს, იმ ექიმს კურნების ძალა ვინ მისცა, ისევ უფალმა, ხომ?! გინახავთ ალბათ ან გაგიგონიათ, ადამიანი რწმენით განიკურნაო?! ჩვენთან, ტაძარშიც მოდიან ასეთი ადამიანები. ეს არის სასწაულებრივი კურნება. რატომ გვაძლევს ღმერთი სასწაულებრივ კურნებას?! – სულიერად რომ გავიზარდოთ. მინახავს ამის მაგალითები, მაგრამ ისიც მინახავს, განკურნების შემდეგ, ადამიანს ვერ გაუაზრებია, რატომ განიკურნა და როცა სნეულება შემობრუნებია, ყველას გაჰკვირვებია. ეს გასაკვირი არ არის, ჩემო კარგებო! გვახსოვდეს ერთი, რომ სნეულება და განსაცდელი ადამიანს დასასჯელად კი არ ეძლევა უფლისაგან, არამედ გონზე მოსასვლელად. სნეულება ჩვენ სასჯელად არ უნდა მივიღოთ, არა. უნდა მივიღოთ მადლიერებით, არც განსაცდელი არ უნდა მივიღოთ სასჯელად, ისიც მადლიერებით უნდა მივიღოთ. ეს ჩვენი, ადამიანების ცოდვებისგან განსაწმენდად გვეძლევა და ჩვენ უნდა შევძლოთ გავუძლოთ მას, ყველაფერი გავაკეთოთ სულის გასაწმენდად. ადამიანი ამის შემდეგ იმ დოზით იძენს სარწმუნოებას, რომელიც მას უფლისგან აქვს დადგენილი და მონიჭებული. შეიძლება ასეთი ადამიანი ადრეც, სნეულებამდეც იყო მორწმუნე, მაგრამ არა იმ დოზით. სასწაულებრივი კურნებაა, როცა ონკოლოგიურ პაციენტს მედიცინა სასიკვდილო დიაგნოზს დაუსვამს, თანაც სიმსივნის IV სტადიას, მაგრამ, უყურეთ, არის შემთხვევები, როცა ასეთი ადამიანი ტაძარში სიარულს აზრს ატანს, ხვდება რატომაც მოუვლინა უფალმა მას სნეულება, ლოცულობს, ამბობს აღსარებას, ეზიარება, აკეთებს სასიკეთო საქმეებს. ერთი სიტყვით, სულისა და ხორცის განსაკურნებლად ყველაფერს აკეთებს. ასეთი ადამიანი ამარცხებს ვერაგ, სასიკვდილო დაავადებას, განიკურნება (მაგრამ, არა საბოლოოდ!), მაგრამ, თუ მას დაავიწყდა სამადლობელის თქმა, როგორც მორწმუნემ, თუ ისე არ გააგრძელა ცხოვრება, ის მარცხდება შემდეგ...

– ეს როცა ზრდასრულია ადამიანი, მაგრამ ბავშვები, მათ რა ცოდვა აქვთ, როცა ისინი განსაკუთრებით მძიმე სნეულებით იტანჯებიან?

– ეს რთული საკითხია. შეიძლება მშობლის სარწმუნოებისათვის, ან ამ ბავშვის სარწმუნოებისათვის. როგორ გითხრათ, წმინდა მატრონა მოსკოველი მთლად უსინათლო იყო ბავშვობიდანვე, მაგრამ როგორი მორწმუნე იყო, მისი ლოცვა როგორ შეეწეოდა ყველას?! მასზე ხატიც კი არის დაწერილი, მასთან სტალინიც ხომ არის მისული... მე ვერ გეტყვით, ვერ აგიხსნით, ეს უფლის საიდუმლოებაა. ჩვენ ხომ ვიცით, უფალი ჩვენი იესო ჩვენი ხსნისთვის მოვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვსჯის, პირიქით, დახმარება უნდა ბავშვის თუ ზრდასრულის, ხანდაზმულის თუ სულ მთლად ჩვილისთვის. მეორედ როცა მოვა უფალი იესო, მაშინ უკვე სასჯელად გვექნება ყველა ცოდვა, რადგან მაშინ ჩვენი გასამართლება მოხდება.

– და მაინც, საინტერესოა, ხორციელ და სულიერ სნეულებებს შორის თუ არსებობს კავშირი?

– კი. აი, მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ბრაზდება, ადვილად ვარდება მრისხანების ცოდვაში, დააკვირდით, მას ხშირად, ქრონიკული სახსრების ტკივილი ტანჯავს, ემართება გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ადამიანს, რომელსაც უყვარს უზომო სმა-ჭამა, ე.ი. ვარდება ნაყროვანების ცოდვაში და მას საჭმლის მომნელებელი სისტემის, კუჭ-ნაწლავის დაავადებები ემართება. შეიძლება ადამიანი სულიერი სნეულებისგან განიკურნოს, მაგრამ, ამ უზომო ჭამისაგან ან დიაბეტი დაემართოს, ან კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადება, დაუზიანდეს ღვიძლი, მართალია, შემდეგში ის ზღუდავს საჭმელს, დიდი რაოდენობით აღარ იღებს, მაგრამ ქრონიკულად გაჩენილი სნეულება მას არ ტოვებს. ეს იმის ნიშანია და ჭკუის სასწავლებელი სხვებისათვის, რომ სხვებმა ნაყროვანების ცოდვას თავი აარიდონ თავიდანვე, შეიგნონ და სულის სიჯანსაღეზე იზრუნონ.

მაშ გაინტერესებთ, რისთვის ეძლევათ ადამიანებს ავადმყოფობა? წმინდა მამების თქმით, ადამიანს ავადმყოფობა თავისი ცოდვების გამოსასყიდად ეძლევა, დაუფიქრდეს, გააანალიზოს, დასკვნა გააკეთოს – როდის ჩაიდინა ცოდვა, რატომ, ვის მიაყენა ზიანი, დაითმინოს ეს ავადმყოფობა და კეთილმსახურებით გამოასწოროს თავისი შეცდომა. ზოგჯერ მშობლების ცხონებისათვის ეძლევათ შვილებს ავადმყოფობა, რათა შვილის ტანჯვამ შეაჩეროს მშობლის უგუნურება, დაფიქროს და ბოლოს ღმერთთან მიიყვანოს, ასევე იმისთვის, რომ არ, ან ვერ ჩაიდინოს ბოროტება, ჩვენი სული ააშოროს უფალმა დამღუპველ ცოდვას და კიდევ, მცირე უსიამოვნებით დიდ უბედურებას აგვაცილოს. ვინ იცის, იმ პერიოდისთვის ადამიანი ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, იქნებ ავადმყოფობაზე უარესი უბედურებაც დამართნოდა?!

ღმერთმა დაგლოცოთ!

მილოცვა



დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, ულამაზეს და უკეთილშობილეს ქალბატონს **ეკა ხებრელაშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

საგარეჯოს აიპ „სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები

მადლობა

მადლობას ვუხდი საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსის“ ექიმებს: **დათო ლალიაშვილს, ია დარისპანაშვილს, ნინო ბაირამაშვილს** ჩემი და ჩემი მეუღლის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და პროფესიონალიზმისათვის, გულთბილი მომსახურებისათვის.

ისმეილ ისმაილოვი

ჩვენი თანამემამულე საგარეჯოელი ცნობილი დავით ივანიშვილი

25 ნოემბერს თბილისში გალერეა „უნივერსში“ გაიხსნა საგარეჯოელი მხატვრისა და ხატმწერის, პოეტისა და ხელოვანების თაყვანისმცემლის დავით ივანიშვილის ნახატების გამოფენა-გაყიდვა, სადაც თბილისელმა და არა მარტო თბილისელმა ხელოვნებისმოყვარულებმა დაათვალიერეს მხატვრის ნახატები.

გამოფენა-გაყიდვა 10 დღეს გაგრძელდება.

„სადაც მართალნი განისვენებენ“...

„და დარჩეს ხსოვნა, როგორც ლეგენდა“

„იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!“

ნანა ზირაძაშვილს

შენი მეგობრები – პ/ჩაილურის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

წერა იმ ადამიანის სიკვდილზე,რომელიც შენი მეგობარი, შენი ცხოვრების ნაწილი იყო და აღარ არის,- შენი სიკვდილის აღწერაა. ამბობენ, მეგობრის სიკვდილი შენი ცხოვრების ნაწილის სიკვდილიაო...

... და მართლაც, განა იგივეს თქმა არ გვინდა ჩვენც ნანა?! ჩვენო გაუსაძლისო, გაუქუჩებელო ტკივილო.

მეხის გავარდნას ჰგავდა ჩვენს სკოლაში შენი უკურნებელი სენის ამბავი და გააზრებაც ვერ მოვასწარით, ისე გაუჩინარდი... გვიჭირს უშენობა, ძალიან გვიჭირს! შვებას იმაში ვპოულობთ, რომ შენს ნინის და ნიკას ვეფერებით და ამით შენი მონატრების სურვილს ვიკლავთ.

უკვე 40 დღე გავიდა, 40 ტკივილიანი, ცრემლებით დამბალი დღე, მაგრამ არავის ეგონოს, რომ დაგივიწყეთ - ყოველი დღე შენით იწყება და შენით მთავრდება; ყველაფერს შენს სახელს ვუკავშირებთ ნანა, შენს კლასს ისევ ნანას კლასს ვეძახით, ვიხსენებთ შენთან გატარებულ დღეებს და თან ვიცინით და თანაც ერთმანეთის მალულად ვიწმენდთ ცრემლს... როგორ დაობლე,როგორ დაამწუხრე ჩვენი გაუტეხელი, ერთსულოვანი, სიყვარულით სავსე პედკოლექტივი. ჩვენდაუნებურად დაგეძებთ სკოლის კედლებში, --- ჩვენს შორის გვეგულები, გვგონია, რომ გამოჩნდები შენი მოციმციმე, ბრიალა თვალებით, შენებურად გადაიკისკისებ და გვეტყვი: არ მელოდით?!

გელით ნანა, გელით და დაგელოდებით შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ვიდრე ჩვენი პედკოლექტივი არსებობს!

შენ კი მშვიდად განისვენე, შეუერთდი უფალს იქ, სადაც მხოლოდ მართალნი განისვენებენ...

შენი მეგობრები – პ/ჩაილურის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ცის კაბადონზე შენი წილი
ვარსკვლავი ჩაქრა
და არც კი გვჯერა, რომ ვერ
გნახავთ ვედარასოდეს,
ამ სკოლის კედლებს ისევ შვენის
სილაღე შენი
და გვინდა ყველას სულ ასეთი
ნანა გვახსოვდეს!
გვსურდა ჩვენს გვერდით სულ
გეფრქვია ნაზი სურნელი,
ყველამ ცრემლები უხვად ღვარა
შენს სასთუმალთან,
ისეთი თბილი, კეთილი და სათნო იყავი,
გვწამს უცოდველი და მართალი
მიხვალ უფალთან!
გესმის? უშენოდ მაინც რეკავს
ამ სკოლის ზარი,
თვალებხატულას გზას გილოცავს
სევდიან ხმაზე,
სულთა საუფლოს სტუმარი ხარ,
მაგრამ ნუ შიშობ,
შენ ჩვენთან ერთად კვლავაც ივლი
ამ ქვეყანაზე!

მარინა შანიძე

„გულზე მომაყარე ერთი მუჭა,
არ შემციოდეს, დავიფენ საბნად“

დედა!!! ჩემო ყველავ!!!

ქსენია ურდულაშვილი

რატომ უჩნდებათ ადამიანებს სურვილი მისი გაუსაძლისი ტკივილი სხვებმაც მოისმინონ?! შენთვის სათქმელი და მოსასმენი სხვებისთვის რა უნდა იყოს, დედა, მაგრამ მაინც უსაშველოდ მინდა ის ქუჩები და ის ადამიანები, ვინც მე ასე მიყვარს, ვინც შენც ძალიან გიყვარდნენ, დედა. გავჩუმდეთ... ...

წუთერთო...

დედა, ჩემო ყველავ! შენს სიცოცხლეში დედის ხატება სრულებითაც არ გინახავს, ძუძუთა ბავშვი დაობლდი, იმ დღიდან შენი სიცოცხლის წიგნს წვიმა წერდა და ქარი შლიდა, წუთისოფელი შენთვის ავი დედინაცვალი იყო...

დედა, ჩემო დაღლილო დედავ, შენი მძიმე ჯვრის ტარებით დაღლილო, შრომით, ფიქრით, ტკივილით, შიშით და ცრემლით დაღლილო, შენს გარეგნულ სილამაზეს ფარავდა შენი სულიერი სიმაღლის ღირსება, ღირსება, მეუღლის, დედის და ქალის. შენი კდემამოსილება და სათნოება...

ახლა, როცა ამ წერილს გწერ, შენ საზვერეების ბოლო კიბეებს მისდევ, დედა. მადლი, რომელიც შენთან არის, შენი წუთისოფლის მკაცრი დღეებიდან ახლა სულზე ალბათ მალამოდ გედება,დედა. განა სხვებს არ გარდაცვლიათ დედა? მაგრამ ძალიან ცოტასთვის ყოფილა დედა ყველაფერი.

დედა, ჩემო ყველავ, მაპატიე, რომ მიგატოვე.

***

მოვა ზამთარი,
კარდახურული,
გულდახურული,
ცივი
და ჩვენს ეზოში
შენი კაკლის ხე
უთქმელად,
ჩუმად ტირის.
შენს ნაფეხურებს
დაეძებს სიო
დილით სალამს რომ გთხოვდა
და ყველაფერი ტკბილ-მწარე არის
ჩემო ადგილის დედავ!
მე აღარა ვარ ის შენი შვილი,
მე მხოლოდ ქარებს ვრეკავ,
თავს დამტრიალებს
ცრემლების ჩრდილი
დედა!!! სადა ხარ დედა!!!

თამრიკო ურდულაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru